


საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES  
TBILISI INSTITUTE OF ASIA AND AFRICA



პერსპექტივა-XXI

VII

PERSPECTIVE-XXI

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ბ. ჯერეთელის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES  
TBILISI INSTITUTE OF ASIA AND AFRICA

# პერსპექტივა-XXI

VII

# PERSPECTIVE-XXI

თბილისი - TBILISI

2005

რედაქტორები:

გურამ ჩიქოვანი, გიორგი კაციტაძე

სარედაქციო კოლეგია:

დარეჯან სვანი, ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე, გრიგოლ ბერაძე,  
ჯემშიდ გიუნაშვილი, კარლო კუცია, მიხეილ სვანიძე, ქერიმ ამოევი,  
მურმან ქუთელია, ოლეგ რედკინი (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი), მეჰრდად კია (მონტანას უნივერსიტეტი, აშშ), ანი ჩიქოვანი

EDITORS-in-CHIEF:

Guram Chikovani, George Katsitadze

EDITORIAL BOARD:

Darejan Svani, Irine Nachkebia, George Sanikidze, Grigol Beradze, Jemshid Giunashvili,  
Karlo Kutsia, Mikheil Svanidze, Kerim Amoev, Murman Kutelia, Oleg Redkin (University of  
Sankt-Petersburg), Mehrdad Kia (University of Montana, USA), Ani chikovani

კრებული რეფერირებადი და რეცენზირებადია. სტატიების რეფერირება, საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტსა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე,  
ხდება სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერატულ ქურნალში და  
რეფერატები შედის უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში.

საქართველო, თბილისი, 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. №3  
3, Acad. G. Tsereteli Str., 0062 Tbilisi, Georgia  
ტელ/Phone: (995 32) 231 873; (995 32) 290 864;  
ფაქსი/Fax: (995 32) 233 008  
E-mail: [tiaa@tiaa.edu.ge](mailto:tiaa@tiaa.edu.ge)  
[gogis63@mail.ru](mailto:gogis63@mail.ru)  
ინტერნეტის გვერდი: [www.tiaa.edu.ge](http://www.tiaa.edu.ge)

- © აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
Tsereteli Institute of Oriental Studies
- © თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი  
Tbilisi Institute of Asia and Africa

გამომცემლობა “ენა და კულტურა”  
Editin “Language and Cultura”

ISBN: 99940-23-38-1

მარიამ ნედოსპასოვა

ბურამ ჩიქოვანის ნაშრომზე „შუა აზიის არაბული დიალექტები (კაშკადარიული დიალექტი, ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა)“

რ ე ც ე ნ ზ ი ა

2002 წ. ბურამ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „შუა აზიის არაბული დიალექტები (კაშკადარიული დიალექტი, ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა)“, რომელიც უძღვნა აკად. გ. წერეთლის ხსოვნას. სწორედ გ. წერეთელმა, მის მიერ მრავალ გამოკვლევულ პრობლემებს შორის, საფუძველი ჩაუყარა არაბული დიალექტოლოგიის ამ უმნიშვნელოვანეს ფენომენს.

ცნობილია, როდენ დიდი ყურადღება ექცევა არაბული დიალექტების კვლევას არა მარტო არაბულ ქვეყნებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც. ამ დიალექტებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ე.წ. პერიფერიულ არაბულ დიალექტებს, როგორცაა, თურქეთ-სირიის სასაზღვრო ზოლში არსებული არაბული დიალექტები, ანდალუსიის ძველი არაბული დიალექტი, კვიპროსის არაბული, ირან-პუზისტანის დიალექტი და სხვ. ამ დიალექტების შესწავლასა და სისტემატიზაციას თავისი ნაშრომები უძღვენს ისეთმა ცნობილმა თანამედროვე სწავლულებმა, როგორცაა იასტროვი (გერმანია), ვილიჩი (ნიდერლანდები), ბერგი (ამერიკა), პროხასკა (ავსტრია) და სხვ. მაგრამ, ჩვენი აზრით, ე.წ. პერიფერიულ დიალექტებს შორის საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული შუა აზიის კაშკადარიული და ბუხარული დიალექტები. რომლებმაც მრავალი საუკუნის განმავლობაში სრულ იზოლაციაში, არაბულ სამყაროს მოწყვეტილნი, არამცთუ შეწყვეტეს თავისი არსებობა, არამედ ვითარდებოდნენ მჭიდრო კავშირში სხვა სტრუქტურების ენებთან. ამან განაპირობა, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფენომენის შექმნა, რომელშიც სამი ენობრივი ოჯახის – სემიტური, ინდოევროპული და თურქული – თავისებურებების შერწყმა აისახა ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში. ამ ფაქტმა თავის მხრივ გამოიწვია დიგლოსიისა და ტროიგლოსიის ჩამოყალიბება.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ამ დიალექტების შესწავლას საფუძველი ჩაუყარეს აკად. გ. წერეთელმა და ეთნოგრაფმა პროფ. ი. ვინიკოვმა. თავის დროზე ამ მოვლენას აღნიშნავდნენ როგორც მეტად საყურადღებო აღმოჩენას და თვლიდნენ კიდევაც, რომ იგი წარმოადგენს გადატრიალებას მსოფლიო მეცნიერებაში (იხ. იუშმანოვისა და კრაჩკოვსკის ნაშრომები).

აკად. გ. წერეთლის უდიდეს ღვაწლს ამ სფეროში ვრცლად მიმოიხილავს ავტორი თავის ნაშრომში. საქართველოში ბუხარული დიალექტის შესახებ გამოაქვეყნა მონოგრაფია პროფ. ვლ. ახვლედიანმა. გ. ჩიქოვანის პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომი მიეძღვნა კაშკადარიული დიალექტის მორფოლოგიას (1988, თბილისი), ხოლო თავის სადოქტორო დისერტაციაში იგი მიზნად ისახავს შუა აზიაში მის მიერ ჩაწერილი დიალექტების (კაშკადარიის ოლქის სხვადასხვა ყიშღალებსა და ბუხარის რაიონის ყიშღალებში) სრულ ლინგვისტურ ანალიზს ფონეტიკურ, ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე. რაც კომპლექსურად აისახა გ. ჩიქოვანის მონოგრაფიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად იბეჭდება გ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი ტექსტები ამ დიალექტზე თარგმანითა და კომენტარებით. აქვე მინდა ხაზი გავეუსვა, რომ ეს ტექსტები წარმოადგენენ არა მარტო მასალას ლინგვისტური კატეგორიების კვლევი-სათვის, რადგან მათში ასახულია სხვა ენებთან მჭიდრო მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად საინტერესო ენობრივი თავისებურებანი, განვითარებული მხოლოდ და მხოლოდ კაშკადარიულ დიალექტში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი ცვლილებები. ეს ტექსტები თავისთავად იმსახურებენ დიდ ყურადღებას როგორც შუა აზიის ფოლკლორული ნიმუშები, კერძოდ კაშკადარიის რაიონში, ძირითადად ტაჯიკების და უზბეკების გავლენით, გავრცელებული ზღაპრები, ლეგენდები, ანდაზები, წეს-ჩვეულებები, ადათები და, რასაკვირველია, ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერები.

კაშკადარიული დიალექტის სისტემური და ამომწურავი შესწავლის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგით: მიუხედავად იმისა, რომ არაბულ დიალექტებში მომუშავე სპეციალისტებისათვის ცნობილია ძირითადი თავისებურებები და დამახასიათებელი ნიშნები ამ დიალექტისა პროფ. ვინიკოვისა და აკად. გ. წერეთლის ნაშრომების საფუძველზე, ათწლეულების განმავლობაში მათ გარდა არავის უმუშავია შუა აზიის ტერიტორიაზე არსებულ დიალექტებზე სხვადასხვა ექსტრალინგვისტური მიზეზების გამო, ხოლო რაც შეეხება ძველ ინფორმაციას ამ დიალექტების შესახებ, იგი საკმაოდ მწირია იმ ზღვა მასალასთან შედარებით, რომე-

ლიც დაგროვდა ამ ხანგრძლივ პერიოდში და რომლის აღნუსხვა ჩვენ ტექნიკურად პროგრესულ დროს ბევრად უფრო მოსახერხებელია. იმედია, რომ გ. ჩიქოვანი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას ამ სფეროში, მითუმეტეს, რომ მის მიერ უკვე ჩაწერილია ბუხარული დიალექტის ტექსტები. თვით ავტორიც აცხადებს, რომ ყოველ ახალ მივლინებას (იგი იმყოფებოდა მივლინებებში შუა აზიაში ოთხმოციან წლებსა და 2000 წელს) მოაქვს ახალი მასალები და მათი ახალი გააზრება.

გ. ჩიქოვანის მიერ ჩატარებული კაშკადარიული დიალექტის ანალიზი შესრულებულია თანამედროვე ენათმეცნიერების მაღალ დონეზე.

ნაშრომი (სულ 261 გვ.) შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან, I. კაშკადარიული დიალექტის ლინგვისტური ანალიზი და ფონოლოგია, II. მორფოლოგია, III. დამხმარე სიტყვები, IV. სინტაქსი და V. ლექსიკა. მონოგრაფიას ახლავს დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში არაბულ ისტორიულ წყაროებსა და ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია შუა აზიის არაბების ისტორია, განსაკუთრებით კი მათი მიგრაციების სავარაუდო ვადები. ნაშრომის ავტორი იზიარებს სპეციალისტთა თვალსაზრისს, რომლის თანახმად, პირველი მიგრაცია დაკავშირებულია არაბთა დაპყრობით ომებთან VII-VIII ს.ს. ამის დამადასტურებლად გ. ჩიქოვანს მოაქვს დამატებითი არგუმენტები, როგორცაა, ტოპონიმები ბუხარის რაიონში, რომლებშიც შედის ლექსიკური ერთეული 'arab, ხოლო კაშკადარიულში ტოპონიმები, სემანტიკურად დაკავშირებული არაბ ტომთა სახელებთან, მაგ., კურეში, ტაი და სხვ.

ავტორის დაკვირვების შედეგად დგინდება, რომ ბუხარისა და კაშკადარიის მხარეში არაბთა მიგრაციის სავარაუდოდ ორ, ქრონოლოგიურად განსხვავებულ, ტალღას ჰქონდა ადგილი. ენობრივ მაჩვენებლებსა, ისტორიულ წყაროებსა, ლექსებსა და დღესაც შემონახულ ქალთა ჩაცმულობასა და სამკაულებზე დაყრდნობით მონოგრაფიის ავტორი ამტკიცებს კაშკადარიული დიალექტის მეტ არქაულობასა და მის მსგავსებას კლასიკურ არაბულთან, ვიდრე ბუხარული დიალექტისას (მაგ. m/mi, b/bi ნაწილაკიანი ფორმები აღმოსავლურ დიალექტებში არ დაფიქსირებულა XIV ს.-მდე და სხვ.).

თითოეული თავი შედგება პარაგრაფებისაგან, ხოლო თვით პარაგრაფები დაყოფილია ქვეპარაგრაფებად გრამატიკული კატეგორიების სხვადასხვა საკითხების მიხედვით. მაგ., „ფონოლოგია“ შედგება რვა პარაგრაფისგან, მასში შემავალი ქვეპარაგრაფები კი, მაგ., „ბგერათა კომბინატორული ცვლილებანი“ დაყოფილია ხუთ ქვეპარაგრაფად. ეს პრინციპი დაცულია მთელ ნაშრომში, სადაც წარმოდგენილია მასალის ფიქსაცია, განმარტებები, ანალიზი და მთელ ნაშრომში, სადაც წარმოდგენილია მასალის ფიქსაცია, განმარტებები, ანალიზი და საბოლოო კვალიფიკაცია-დასკვნები. მრავალ შემთხვევაში მოშველიებულია, ძირითადად ბუხარული დიალექტიდან, სათანადო ეკვივალენტები, შესაჯერებელი მასალა სალიტერატურო არაბულიდან და ა.შ. ამ საკითხების ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ნაშრომი მოიცავს 116 განაყოფს. ხშირად საკვლევ მასალას ახლავს ავტორის მიერ შედგენილი სქემები და ცხრილები, რაც უფრო ნათელს ხდის დიალექტში წარმოებული პროცესების სურათს.

მეორე თავში „მორფოლოგია“ დადგენილია კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს კაშკადარიულ დიალექტში ძირეულ და აფიქსალურ სეგმენტურ განაწილებას. კატეგორიები, განხილული ფორმალურ ნიშანთა მიხედვით, ნაშრომში წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური სტრუქტურები. სიტყვათა დერივაციული და მორფოლოგიური ანალიზის დროს ავტორი ყურდნობა ამოსავალ სქემას, რომელსაც საფუძვლად უდევს სალიტერატურო არაბულის მორფოლოგიური კლასიფიკაცია.

ეს თავი აგებულია იგივე პრინციპით, რაც ფონოლოგიის ნაწილი: პარაგრაფებითა და ქვეპარაგრაფებით, სადაც აღნუსხულია, შესწავლილია და გაანალიზებულია, ამჯერად, მორფოლოგიური კატეგორიები, მათი შემადგენელი ნაწილები და ფონეტიკური თუ სემანტიკური პროცესების შედეგად ჩამოყალიბებული მორფოლოგიური ფორმები. მკაცრად არის დაცული დივერგენციისა და კონვერგენციის ფაქტების დაფიქსირება.

მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს რიცხვითი სახელის სისტემა, რომელიც ძირითად ხაზებში იხარჩუხებს სემიტურ სტრუქტურას. ამ შემთხვევაშიც თვალნათლივ ჩანს ადგილობრივი ენების ძლიერი გავლენა: მაგ., ზოგიერთი რიცხვითი სახელი გადმოცემულია არაბული ლექსიკური ერთეულით, ზოგს აქვს პარადელური ფორმები, მაგ., „ხუთი“ hams-panğ, ან „შვიდი“ sab'a/hafite, მაშინ როდესაც ზოგიერთის აღსანიშნავად გამოყენებულია მხოლოდ ნასესხები სიტყვა, მაგ., „ცხრისათვის“ იხმარება მხოლოდ nuh.

ზმნის სისტემის წარმოდგენისას ავტორი დაწვრილებით იხილავს იმ ფონეტიკური პროცესების კანონზომიერებებს, რომლის შედეგად ჩნდება ესა თუ ის ვერბალი ფორმა. ზმნური სისტემა ამ დიალექტში აგებულია სემიტურ ენათა შესაბამისი ვერბალი სისტემის ფუნქციონირების მიხედვით. გამოიყოფა მარტივი და ნაწარმოები თემები, რაც თავის დროზე აღწერილი ჰქონდა აკად. გ. წერეთელს, მაგრამ გ. ჩიქოვანმა გამოჰყო კიდევ ერთი ე.წ.

განუსაზღვრელი აწმყო, რომელიც არ არის დამოწმებული არც სალიტერატურო ენასა და არც სხვა დიალექტებში. იგი იწარმოება ორნაირად: ჩვეულებრივი ინფინიტივით ან პირველი თემის მასდარზე sawa ზმნის დართვით შესაბამის პირში 'amalan isi „ის საქმიანობს (საერთოდ)“, ana rakaban isi „მე ცხენს ვხედნი (საერთოდ)“. ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, არის თუ არა რაიმე სემანტიკური განსხვავება ამ ორ წარმოებას შორის და თუ არის, რაში გამოიხატება იგი. საერთოდ, დროის კატეგორიების განხილვისას ავტორი გამოიყენებს შემდეგ ჯგუფებს: ა) დასრულებული ნამყო, ბ) განუსაზღვრელი ნამყო, გ) განსაზღვრული ნამყო, დ) უბრალო მომავალი, ე) რთული და დაუყოვნებელი მომავალი. სასურველი იქნებოდა ამ ჯგუფების უფრო დაწვრილებითი აღწერა სემანტიკური თავისებურებების თვალსაზრისით, რადგან ზოგიერთი მათგანი საერთოდ არაა დამახასიათებელი სალიტერატურო არაბულისათვის.

კაშკადარიული დიალექტის ლექსიკა გ. ჩიქოვანის ნაშრომში დაყოფილია ორ ჯგუფად: I - „არაბული ლექსიკა“ და II - „უცხოური ნასესხობანი“ (აღბათ ტერმინი ნასესხობანი თავისთავად გულისხმობს უცხოურს). პირველი ჯგუფი თავის მხრივ წარმოდგენილია ლექსიკურ პლასტებად: ა) საერთო სალიტერატურო არაბული ლექსიკა და ბ) დიალექტების ლექსიკა; მეორე ჯგუფის არსებობას მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად ხსნის სუბსტრატის გავლენით. აქ გამოყოფილია უზბეკური, ტაჯიკური, ნაწილობრივ თურქმენული და რუსული ერთეულები. აქვე განხილულია ნასესხობათა ძირითადი ლექსიკური თავისებურებანი გ. ჩიქოვანის გამოკვლევაში დამოწმებულია შესასწავლი დიალექტის ონიმასიოლოგიური სტრუქტურის შექმნის ტენდენცია. ამას განაპირობებს ნომინატის სტრუქტურაში ცალკეული ელემენტების ამოვარდნა, მაგ., kulsī < fi kullī sa'atin „სულ, მუდამ“ ან სიტყვასიტყვით „ყოველ საათში“. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება დაუკავშირდეს სალიტერატურო არაბულის nahts-ს. მოყვანილია აგრეთვე სინტაქსური კონსტრუქციებიდან ერთი წევრის ამოვარდნის ფაქტები, მაგ., ho' it < orba' ho' it, ე.ი. „ოთახი“, რომელიც, ავტორის აზრით, განვითარდა შესიტყვებიდან „ოთხი კედელი“. სიტყვათშეთანხმების ერთ სიტყვად ტრანსფორმაცია ადასტურებს კაშკადარიულში ენის ეკონომიურობისადმი მიდრეკილებას. მონოგრაფიის ავტორს მოაქვს საინტერესო სინტაგმები, რომლებიც უნდა აიხსნას დიალექტში არსებული სემანტიკური ასოციაციებით.

ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით, გ. ჩიქოვანი განიხილავს კაშკადარიულ დიალექტში უზბეკურის გავლენით გაგრძელებულ იზაფტს და სხვ. და სხვ.

ამ გამოკვლევაში ავტორის მიერ დაფიქსირებულია code switching-ის ანუ „ენობრივი გადართვის“ არაერთი შემთხვევა, რაც ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

კაშკადარიული არაბულის შესწავლა იძლევა უაღრესად მდიდარ მასალას ენობრივი კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით. ეს საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია ტექსტებზე დართულ კომენტარებში, სადაც არაბული დიალექტის ენობრივ თავისებურებებთან ერთად განმარტებულია უზბეკური, ტაჯიკური, თურქმენული ენების გავლენის ფაქტები ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე.

გურამ ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილ მონოგრაფიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია 13 სამეცნიერო მონოგრაფია, მათ შორის 5 საზღვარგარეთ. ამავე დროს გადაცემულია დასაბუქდად 3 ნაშრომი საზღვარგარეთ და 3 საქართველოში, კერძოდ, სემიტოლოგიურ შტუდიებში. გამოსაცემად მზად არის ორი მონოგრაფია: 1) კაშკადარიული დიალექტის ლინგვისტური გამოკვლევა და 2) ტექსტები, თარგმანი და კომენტარები.

ყველასათვის ცნობილია გურამ ჩიქოვანის მიერ აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე საზღვარგარეთ და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრია, შვედეთი, ფინეთი, მალტა, სანკტ-პეტერბურგი და სხვ.).